

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

სსღმმ №45

დ დ ი ს წ მ ს რ ი ბ ი:

1. სტუ-ის აკადემიური საბჭოს №216 დადგენილების დამტკიცება “სტუ-ის სტუდენტების სასტიპენდიო ფონდის შექმნისა და მასში კონსოლიდირებული თანხების განკარგვის წესის” შესახებ (მომხსენებელი პროფ. ქ. ქოქრაშვილი) (იხ. დანართი);
2. სტუ-ის 2010 წლის ნაერთ ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებები ფაკულტეტების მიხედვით:
 - ა) სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი;
 - ბ) ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი;
 - გ) ადმინისტრაციის ინიციატივით;
3. სტუ-ის 2010 წლის საშტატო განრიგში განსახორციელებელი ცვლილებები:
 - ა) გათანაბრდეს ფაკულტეტების სპეციალისტთა ხელფასი და განისაზღვროს 400 ლარით;
 - ბ) ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე გაუქმდეს ლაბორატორიის ხელმძღვანელის 1 საშტატო ერთეული და დაემატოს უფროსი ლაბორანტის 2 საშტატო ერთეული;
 - გ) ჰუმანიტარულ-სოციალურ ფაკულტეტზე “სასწავლო პროცესების უფროსი მენეჯერის” და “სასწავლო პროცესების მენეჯერის” სახელწოდებები შეიცვალოს “სასწავლო პროცესების უფროსი ლაბორანტის” და “სასწავლო პროცესის ლაბორანტის” სახელწოდებებით;
 - დ) არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე გაუქმდეს სპეციალისტის 2 საშტატო ერთეული და არქივარიუსის 1 საშტატო ერთეული, შეიქმნას მთავარი სპეციალისტის 2 საშტატო ერთეული და უფროსი ლაბორანტის 1 საშტატო ერთეული;
 - ე) სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკ-ზე დაემატოს სპეციალისტის 2 საშტატო ერთეული;
 - ვ) საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილებაში გაუქმდეს სპეციალისტის 1 საშტატო ერთეული და დაემატოს ინჟინერ-პროგრამისტის 1 საშტატო ერთეული;
 - ზ) ფაკულტეტის საშტატო განრიგში არსებული ბიბლიოთეკარების 9 საშტატო ერთეული, გადმოვიდეს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის შემადგენლობაში;
 - ქ) თბილისში, ს.ეულის 3-ში მდებარე მოდულის შენობის 1 სართულზე არსებული 165 მ² არასაცხოვრებელი ფართობის კომერციული საქმიანობის მიზნით 2 წლის ვადით იჯარით გაცემის შესახებ.

(ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე მომხსენებელია ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი);
4. სტუ-ის აკადემიური საბჭოს №214 დადგენილების დამტკიცება სტუ-ის ჰუმანიტარულ-სოციალურ ფაკულტეტზე ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტამენტში ვახტანგ სართანია მიღებულ იქნეს მოწვეული პროფესორის თანამდებობაზე (300 საათზე) სრული პროფესორის ანაზღაურებით (მომხსენებელი, პროფ. რ. ქუთათელაძე);
5. სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტთან არსებული სასწავლო ცენტრ “მნიედეერ ელექტრიკ-თელასის” დებულების დამტკიცება (მომხსენებელი, ფაკულტეტის დეკანი გ. არაბიძე) (იხ. დანართი);
6. სტუ-ის აკადემიური საბჭოს №207 დადგენილების დამტკიცება – “სამთო-ელექტრომექანიკის” ცენტრის შექმნასთან დაკავშირებით (მომხსენებელი, პროფ. ზ. მიქაძე) (იხ. დანართი);
7. სტუ-ის აკადემიური საბჭოს №208 დადგენილების დამტკიცება “სტუ-ის პროფესიული განვითარების, მეცნიერების, განათლებისა და კულტურის ცენტრის” შექმნასთან დაკავშირებით (მომხსენებელი, პროფ. ლ. ლოღელიანი) (იხ. დანართი);
8. სტუ-ის აკადემიური საბჭოს №209 დადგენილების დამტკიცება სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის №43 მიმართულების ხელმძღვანელის, პროფ. თამაზ მჭედლიშვილის სტუ-ის საპატიო დიპლომით დაჯილდოების შესახებ (მომხსენებელი, პროფ. ო. გელაშვილი);
9. მიმდინარე საკითხები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს

2010 წლის 17 მარტის სხდომის

ოქმი №45

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას, სიითი შემადგენლობის 69 წევრიდან, ესწრებოდა 39. სხდომას უძღვებოდა სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფ. ეკატერინე თევზაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

წარმოდგენილ დღის წესრიგს კენჭი ეყარა ერთხმად.

სპიკერმა მიმართა საბჭოს წევრებს, რათა აერჩიათ ხმის დამთვლელი კომისია 3 კაცის შემადგენლობით. დასახელდა საბჭოს შემდეგი წევრები: პროფ. მალხაზ ხუციშვილი, ასოც. პროფ. თალიკო უვანია, პროფ. გენადი იაშვილი.

წარმოდგენილ კანდიდატურებს კენჭი ეყარა ერთხმად.

სპიკერი – განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი – “სტუ-ის სტუდენტების სასტიპენდიო ფონდის შექმნისა და მასში კონსოლიდირებული თანხების განკარგვის წესის” შესახებ – მომხსენებელი, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი (იხ. დანართი 1).

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული 2010 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის ასიგნებების ფარგლებში ე.წ. “სხვა ხარჯების” მუხლით გათვალისწინებული 50 000 ლარის რაოდენობით, სტუ-ში შეიქმნა სასტიპენდიო ფონდი, რომლის მიზანია სრულად ან ნაწილობრივ დააფინანსოს იმ სტუდენტთა სწავლის გადასახადი, რომლებიც არიან მრავალშვილიანი ან სოციალურად დაუცველი ოჯახის წარმომადგენლები, უღედმამო ან შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობის მქონე და გამოირჩევიან აკადემიური მოსწრებით ან განსაკუთრებული ნიჭით.

ფონდს განკარგავს აკადემიური საბჭოს დადგენილებით შექმნილი სპეციალური კომისია, რომელიც შედგება ხუთი წევრისგან. კომისია გადაწყვეტილების მიღების მიზნით, განიხილავს სტუდენტის წერილობით განცხადებას და ყველა შესაბამის თანდართულ დოკუმენტაციას. ერთ პირზე გაცემული დახმარების რაოდენობა, გაცემის პერიოდულობა და ვადა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვრება ინდივიდუალურად. კომისიის მიერ ერთ პირზე გაცემული წლიური დაფინანსების მაქსიმალური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს უნივერსიტეტში ერთი სასწავლო წლის ღირებულებას. კომისია გადაწყვეტილებას მიიღებს სიითი შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით.

პროფ. ნოდარ ქაჯაია – ანუ სტიპენდია გაუქმდება? რას ნიშნავს განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული? ვინ უნდა განსაზღვროს ეს? რა როლს ასრულებს ფაკულტეტის დეკანი?

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – ამას ყველაფერს კომისია გადაწყვეტს.

პროფ. დავით ჯაფარიძე – 400 000 ლარი გავითვალისწინეთ სასტიპენდიო ფონდში. თუ ამ საკითხს გადავწყვეტთ სამინისტროს დახმარებით, მაშინ ეს მუხლი ამოსაღები იქნება.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – პირველი თანხა 50 000 ლარის რაოდენობით უკვე გადმორიცხულია. ყველა დანარჩენ თანხასთან დაკავშირებით, სამინისტრო აპრილის შუა რიცხვებში მოგვწერს.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხი. წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2010 წლის 17 მარტის №45 სხდომის
ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 17 მარტის №45 სხდომაზე, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული 2010 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის ასიგნებების ფარგლებში ე.წ. “სხვა ხარჯების“ მუხლით გათვალისწინებული 50000 ლარის რაოდენობით, სტუ-ის სტუდენტთა სასტიპენდიო ფონდის შექმნისა და მასში კონსოლიდირებული სახსრების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითმა საბჭომ მხარი დაუჭირა ამ იდეას და გადაწყვიტა:

- დამტკიცდეს სტუ-ის სტუდენტების სასტიპენდიო ფონდი 50 000 ლარის რაოდენობით;
- დამტკიცდეს სტუ-ის სტუდენტების სასტიპენდიო ფონდის განკარგვის წარმოდგენილი წესი (იხ. დანართი 1).

პროფ. ვახტანგ დათაშვილი – მიმდინარე საკითხები იქნებ გადმოვიტანოთ პირველ საკითხად, რადგან გვჭირდება განცხადების გაკეთება და გვინდა მოისმინოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა. კერძოდ, იქნებ გვეფიქრა სააღდგომო პრემიაზე?

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – ყველა ფაკულტეტს აქვს თავისი პრემიალური ფონდი. ამიტომ ეს ფაკულტეტმა უნდა გადაწყვიტოს.

სპიკერი – განვიხილოთ დღის წესრიგის მეორე საკითხი – სტუ-ის 2010 წლის ნაერთ ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებები ფაკულტეტების მიხედვით, კერძოდ, სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი, და ადმინისტრაციის ინიციატივით – მომხსენებელი, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი (იხ. დანართი 2, 3, 4).

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – სტუ-ის 2010 წლის ნაერთ ბიუჯეტში განხორციელდა ცვლილებები ფაკულტეტების მიხედვით, კერძოდ, მოხდა ერთი მუხლიდან მეორე მუხლში თანხის გადატანა. პრაქტიკულად ბიუჯეტი ამით არ იცვლება.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი – სტუ-ის 2010 წლის ნაერთ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების დამტკიცება. წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა: მომხრე – 38, თავი შეიკავა – 1, წინააღმდეგი არავინ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2010 წლის 17 მარტის №45 სხდომის

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 17 მარტის №45 სხდომაზე, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ის 2010 წლის ნაერთ ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებების დამტკიცების შესახებ.

სტუ-ის წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

– სტუ-ის 2010 წლის ნაერთ ბიუჯეტში განხორციელდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1. სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე – 2010 წლის ფაკულტეტის ბიუჯეტში შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლიდან 410 ლარი გადატანილ იქნეს სატრანსპორტო ხარჯების, მიმდინარე რემონტის, სათადარიგო ნაწილების, ინსტრუმენტებისა და ხელსაწყოების შეძენის ხარჯების მუხლში (დანართი 2);

2. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტზე – 2010 წლის ფაკულტეტის ბიუჯეტის მუხლებში განხორციელდეს შემდეგი სახის ცვლილებები: ელექტრომოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის, ოპტიკური ხელსაწყოების მუხლი შემცირდეს 16578 ლარით და ნაცვლად 87096 ლარისა განისაზღვროს 70518 ლარით; გამოთავისუფლებული თანხა 16578 ლარი გადანაწილდეს შემდეგ მუხლებში:

- საოფისე ტექნიკის, ინვენტარის და მოწყობილობების შეძენის მუხლს დაემატოს 10026 ლარი და ნაცვლად 9773 ლარისა გახდეს 19799 ლარი;
- ნედლეულისა და მასალების ხარჯების მუხლს დაემატოს 6552 ლარი და ნაცვლად 250 ლარისა გახდეს 6802 ლარი (დანართი 3);

3. ადმინისტრაციის ინიციატივით გადატანილ იქნეს

– სხვა მატერიალური მარაგების, ნედლეულის და მასალების ხარჯებიდან 18000 ლარი სხვა მანქანა-დანადგარების, ელექტრომოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის, ავეჯის მუხლში;

– წარმომადგენლობითი ხარჯების, სატრანსპორტო მომსახურებისა და მგზავრობის ხარჯებიდან 6000 ლარი და სხვა მანქანა-დანადგარების, ელექტრომოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის, ავეჯის მუხლში;

– ოფისის ხარჯების, საკანცელარიო ხარჯებიდან 36400 ლარი სხვა მანქანა-დანადგარების, ელექტრომოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის, ავეჯის მუხლში;

- ოფისის ხარჯების, საკანცელარიო ხარჯებიდან 100 ლარი სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის, კადრების მომზადებასთან, გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯები;
- ოფისის ხარჯების, საკანცელარიო ხარჯებიდან 1000 ლარი არაფინანსური აქტივების მუხლის, არაწარმოებული, არამატერიალური აქტივების პუნქტში (დანართი 4).

სპიკერი – განვიხილოთ დღის წესრიგის მესამე საკითხი – სტუის 2010 წლის საშტატო განრიგში განსახორციელებელი ცვლილებები – მომხსენებელი, სტუის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი (იხ. დანართი 5, 6, 7, 8, 9, 10).

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – სტუის ფაკულტეტის დეკანების მოხსენებითი ბარათების საფუძველზე სტუის 2010 წლის საშტატო განრიგში უნდა განხორციელდეს შემდეგი სახის ცვლილებები: მაგ, გ) და ზ) პუნქტში ხდება უმტკივნეულო ცვლილება ბიუჯეტთან მიმართებაში ანუ ცვლილება 0-ია.

რაც შეეხება სხვა სახის ცვლილებებს, ისინი შემდეგია:

- ა) გათანაბრდეს ფაკულტეტების სპეციალისტთა ხელფასი და განისაზღვროს 400 ლარით;
- ბ) ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე გაუქმდეს ლაბორატორიის ხელმძღვანელის 1 საშტატო ერთეული და დაემატოს უფროსი ლაბორანტის 2 საშტატო ერთეული;
- დ) არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე გაუქმდეს სპეციალისტის 2 საშტატო ერთეული და არქივარიუსის 1 საშტატო ერთეული, შეიქმნას მთავარი სპეციალისტის 2 საშტატო ერთეული და უფროსი ლაბორანტის 1 საშტატო ერთეული;
- ე) სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკ-ზე დაემატოს სპეციალისტის 2 საშტატო ერთეული;
- ვ) საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილებაში გაუქმდეს სპეციალისტის 1 საშტატო ერთეული და დაემატოს ინჟინერ-პროგრამისტის 1 საშტატო ერთეული;

პროფ. დავით ჯაფარიძე – როდის გაჩერდება ეს პროცესი? როგორ შეიძლება ხდებოდეს საშტატო განრიგის ცვლილება დაუსრულებლად? ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა გავთვალთ სტრუქტურა ისეთი სახით, რომ გავარკვიოთ რომელ ფაკულტეტს რამდენი ლაბორანტი და რამდენი სპეციალისტი სჭირდება?

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – მოქმედი კანონმდებლობით, ფაკულტეტის სტრუქტურის შეცვლაზე პასუხს აგებს ფაკულტეტის საბჭო. აქ მოდის ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება და მე გამომაქვს წარმომადგენლობით საბჭოზე. თქვენ კი შეგიძლიათ ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება დაბლოკოთ.

პროფ. ნოდარ ქაჯაია – ფაკულტეტის საბჭომ წარმოგვიდგინა იმიტომ, რომ ის ბიუჯეტში გარკვეული არ არის.

პროფ. ჯუმბერ იოსებიძე – ოპტიმიზაცია არ შეიძლება მოხდეს?

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – კარგი იქნება თუ მუშა თათბირს ჩავატარებთ დეკანებთან.

გადაწყდა: ჩატარდეს მუშა თათბირი ყველა ფაკულტეტის დეკანთან, რათა ერთხელ და სამუდამოდ დამტკიცდეს ფაკულტეტების სტრუქტურა.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მესამე საკითხი. წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2010 წლის 17 მარტის №45 სხდომის

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 17 მარტის №45 სხდომაზე, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ის 2010 წლის საშტატო განრიგში განსახორციელებელი ცვლილებების დამტკიცების შესახებ. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილებები შედგენილია შესაბამისი ფაკულტეტების საბჭოების გადაწყვეტილებების, ფაკულტეტების დეკანებისა და სტუ-ის ადმინისტრაციის შესაბამისი განყოფილების ხელმძღვანელების მოხსენებითი ბარათების საფუძველზე.

სტუ-ის წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. სტუ-ის 2010 წლის საშტატო განრიგში განხორციელდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

- ა) გათანაბრდეს ფაკულტეტის სპეციალისტთა ხელფასი და განისაზღვროს 400 ლარით;
- ბ) ქიმიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე გაუქმდეს ლაბორატორიის ხელმძღვანელის 1 საშტატო ერთეული და დაემატოს უფროსი ლაბორანტის 2 საშტატო ერთეული;
- გ) პუმანიტარულ-სოციალურ ფაკულტეტზე “სასწავლო პროცესების უფროსი მენეჯერის” სახელწოდება შეიცვალოს სახელწოდებით “სასწავლო პროცესის უფროსი ლაბორანტი”, ხოლო “სასწავლო პროცესების მენეჯერის” სახელწოდება - “სასწავლო პროცესის ლაბორანტის” სახელწოდებით;
- დ) არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე გაუქმდეს სპეციალისტის 2 საშტატო ერთეული და არქივარიუსის 1 საშტატო ერთეული და შეიქმნას მთავარი სპეციალისტის 2 საშტატო ერთეული და უფროსი ლაბორანტის 1 საშტატო ერთეული;
- ე) სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე დაემატოს სპეციალისტის 2 საშტატო ერთეული;
- ვ) საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილებაში გაუქმდეს სპეციალისტის 1 საშტატო ერთეული და დაემატოს ინჟინერ-პროგრამისტის 1 საშტატო ერთეული;
- ზ) ფაკულტეტების საშტატო განრიგში არსებული ბიბლიოთეკარების 9 საშტატო ერთეული გადავიდეს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის შემადგენლობაში.

2. ეთხოვოს ფაკულტეტის დეკანებს, ამ ეტაპზე შეჩერდეს საშტატო კონტინგენტის ზრდა და წლის დასაწყისში ფაკულტეტის ბიუჯეტთან, ერთად წარმოადგინონ ფაკულტეტის სტრუქტურა და

დაზუსტებული საშტატო განრიგი, რათა წლის განმავლობაში პერმანენტულად არ მიმდინარეობდეს საშტატო განრიგში ცვლილებების შეტანა;

3. წარმოდგენილი ცვლილებები განხორციელდეს 2010 წლის პირველი აპრილიდან.

სპიკერი – განვიხილოთ დღის წესრიგის მეოთხე საკითხი – თბილისში, ს. ეულის 3-ში მდებარე მოდულის შენობის 1 სართულზე არსებული 165 მ² არასაცხოვრებელი ფართობის, კომერციული საქმიანობის მიზნით, 2 წლის ვადით იჯარით გაცემის შესახებ – მომხსენებელი, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – გაიჯარება ხდება მოწვეული აუდიტის შეფასით. სანდრო ეულის ქუჩაზე მუშაობს აუდიტი და 1 კვირის ვადაში გვეტყვიან როგორ ფასს დაადებენ ადრე დამტკიცებულ გასაიჯარებელ ობიექტებს. მაგ, სტუ-ის ნახევრად სარდაფები შეფასდა 1მ² – 5 დოლარად. მე-4 კორპუსის I სართულის იჯარაზე აუდიტი ახლა მუშაობს. ამჟამად გასაიჯარებლად გამოგვაქვს კიდევ ერთი ობიექტი თბილისში, ს. ეულის 3-ში მდებარე მოდულის შენობის 1 სართულზე არსებული 165 მ² არასაცხოვრებელი ფართობი, კომერციული საქმიანობის მიზნით, 2 წლის ვადით.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი. წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2010 წლის 17 მარტის №45 სხდომის

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 17 მარტის №45 სხდომაზე, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი თბილისში, ს. ეულის 3-ში მდებარე მოდულის შენობის 1 სართულზე არსებული 165 მ² არასაცხოვრებელი ფართობის კომერციული საქმიანობის მიზნით 2 წლის ვადით იჯარით გაცემის დამტკიცების შესახებ.

სტუ-ის წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

– დამტკიცდეს თბილისში, ს. ეულის 3-ში მდებარე მოდულის შენობის 1 სართულზე არსებული 165 მ² არასაცხოვრებელი ფართობის, კომერციული საქმიანობის მიზნით (2 წლის ვადით) გაიჯარების საკითხი.

სპიკერი – განვიხილოთ დღის წესრიგის მეხუთე საკითხი – სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტთან არსებული სასწავლო ცენტრ “შნეიდერ ელექტრო-თელასის” შექმნისა და მისი დებულების დამტკიცება, ასევე ფაკულტეტის სტრუქტურაში ცვლილების დამტკიცება – მომხსენებელი, ფაკულტეტის დეკანი პროფ. გია არაბიძე (იხ. დანართი 11).

პროფ. გია არაბიძე – დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტთან არსებული სასწავლო ცენტრ “შნეიდერ ელექტრიკ-თელასის” დებულებას.

“შნეიდერ ელექტრიკ-თელასი” ხელშეკრულებას დებს მსხვილ უმაღლეს სასწავლებლებთან. შეაქვთ თავიანთი ტექნიკა, დაწყებული წვრილმანებიდან დიდ ხელსაწყოებამდე. ეს ცენტრი ამიერკავკასიის მასშტაბით ერთადერთია. თელასში სპეციალისტის აყვანა მოხდება ჩვენ ცენტრში სტაჟირების გავლის შემდეგ. 10 სპეციალისტი წელიწადში სტაჟირებას უფასოდ გაივლის. დანარჩენი ფულს გადაიხდის. ჩამოგვყავს სპეციალისტები მოსკოვიდან და ისინი ასწავლიან ჩვენ თანამშრომლებს.

პროფ. დავით ჯაფარიძე – როგორ მოხდება საშტატო ერთეულების დაფინანსება?

პროფ. გია არაბიძე – ისინი თვითონ დააფინანსებენ საკუთარ თავს. სტუდენტები პროგრამით გაივლიან სტაჟირების ამ ერთ კურსს და თუ მოუნდებათ დამატებითაც გაივლიან.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტთან არსებული სასწავლო ცენტრ “შნეიდერ ელექტრიკ-თელასის” შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების საკითხი, ფაკულტეტის სტრუქტურაში შესაბამისი ცვლილების შეტანით. წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2010 წლის 17 მარტის №45 სხდომის

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 17 მარტის №45 სხდომაზე, წარმოდგენილ იქნა სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დეკანის, პროფ. გია არაბიძის ინფორმაცია ფაკულტეტის შემადგენლობაში ახალი სტრუქტურული ერთეულის, სასწავლო ცენტრ “შნეიდერ ელექტრიკ-თელასის” შექმნასთან დაკავშირებით. დეკანმა დასამტკიცებლად წარმოადგინა ფაკულტეტის ახალი სტრუქტურა და ამ ცენტრის დებულება.

საბჭომ იმსჯელა წარმოდგენილი სტრუქტურისა და დებულების შესახებ და გადაწყვიტა:

- დამტკიცდეს ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ახალი სტრუქტურა, შექმნილი სასწავლო ცენტრ “შნეიდერ ელექტრიკ-თელასის” გათვალისწინებით;
- დამტკიცდეს სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ახალი სტრუქტურული ერთეულის, სასწავლო ცენტრ “შნეიდერ ელექტრიკ-თელასის” დებულება (იხ. დანართი 11).

სპიკერი – განვიხილოთ დღის წესრიგის მეექვსე საკითხი – სტუ-ის აკადემიური საბჭოს №207 დადგენილების დამტკიცება – “სამთო-ელექტრომექანიკის” ცენტრის შექმნასთან დაკავშირებით – მომხსენებელი, პროფ. ანზორ აბშილავა (იხ. დანართი 12).

პროფ. ანზორ აბშილავა – მოგახსენებთ, რომ სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის სამთო-ელექტრომექანიკის მიმართულებაზე, იქმნება თვითდაფინანსების პრინციპზე

მომუშავე, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი “სამთო ელექტრომექანიკა” და წარმოდგენთ აღნიშნული ცენტრის დებულებას დასამტკიცებლად.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის სამთო-ელექტრომექანიკის მიმართულებაზე, თვითდაფინანსების პრინციპზე მომუშავე, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის “სამთო-ელექტრომექანიკა” შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცების საკითხი. წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2010 წლის 17 მარტის №45 სხდომის

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 17 მარტის №45 სხდომაზე, სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანმა, პროფ. ანზორ აბშილაგამ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის სამთო-ელექტრომექანიკის მიმართულებაზე, თვითდაფინანსებაზე მომუშავე, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრ “სამთო-ელექტრომექანიკის” შექმნის შესახებ და დასამტკიცებლად გამოიტანა ამ ცენტრის დებულება.

წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

- დამტკიცდეს სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის სამთო-ელექტრომექანიკის მიმართულებაზე, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრ “სამთო-ელექტრომექანიკის” შექმნის საკითხი;
- დამტკიცდეს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრ “სამთო-ელექტრომექანიკის” დებულება (იხ. დანართი 12).

სპიკერი – განვიხილოთ დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი – სტუ-ის აკადემიური საბჭოს №208 დადგენილების დამტკიცება “სტუ-ის პროფესიული განვითარების, მეცნიერების, განათლებისა და კულტურის ცენტრის” შექმნასთან დაკავშირებით – მომხსენებელი, პროფ. ლ. ლოღელიანი (იხ. დანართი 13).

პროფ. ლალი ლოღელიანი – სტუ-ის აკადემიური საბჭოს №208 დადგენილების საფუძველზე შეიქმნა “სტუ-ის პროფესიული განვითარების, მეცნიერების, განათლებისა და კულტურის ცენტრი”. გთხოვთ, დაამტკიცოთ აღნიშნული ცენტრის დებულება. ცენტრი ჩამოყალიბდა 2006 წელს. აქვს წარსული და აქვს დებულება, რომელიც თქვენ წინაშეა წარმოდგენილი. მას შეიძლება ახალი ფუნქცია შეემატოს სახელობო განათლების სწავლების მიმართულებით. რადგან სტუ-ის აქვს საინჟინრო სპეციალობები, უპრიანი იქნება ეს ჩვენთან გაკეთებულიყო. ეხლა გვყავს 6 თანამშრომელი, თვითოეულს თავისი ფუნქცია აქვს. აქ არის გაღერა "უნივერსი", რომელსაც გამოფენების მოწყობით თანხა შეაქვს სტუ-ში. ცენტრში მიმდინარეობს 7 საერთაშორისო პროექტზე მუშაობა. ეს პროექტები მოპოვებულია ამ ცენტრის მიერ. ცენტრი ძალიან მნიშვნელოვანია. აქ მიმდინარეობს ლექციები, ვიდეოკურსებით სწავლება. ეს ვიდეოები ახალ ლაბორატორიებში შეიქმნა.

პროფ. ვახტანგ დათაშვილი – ხელფასი როგორ მიეცემათ, სტუ-დან თუ თვითდაფინანსებით? თქვენ წერთ, რომ იხდით შემოსავლის 5% სტუ-ში, საიდან?

პროფ. ლალი ღოღელიანი – გვაქვს კომერციული პროექტები, რომლებსაც შემოაქვს შემოსავალი. იქიდან 5%-ს ვუხდით სტუ-ს.

პროფ. დავით ჯაფარიძე – რამდენი თანამშრომელი გეყოლებათ ცენტრში? რამდენი დასჭირდება ფული? გარკვევით უნდა ვიცოდეთ, რომელი მუხლიდან წამოვა თანხები თქვენთან. ჩვენ ხომ გვაქვს პროფესიული განათლება და ეს არ გადაფარავს ამ პროგრამას?

პროფ. ლალი ღოღელიანი – გვეყოლება 10 თანამშრომელი. ხელფასი ჩვენთან მინიმალურია – მაქსიმუმ 200 ლარი და მინიმუმ 120 ლარი. გარდა გალერეისა, ცენტრს ჰქონდა შემოსავალი მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებიდან. ცენტრის ხელმძღვანელია ბატონი რ. ხუროძე და მას 500 ლარი აქვს ხელფასი.

პროფ. დავით ჯაფარიძე – გვაწუხებს დაფინანსების პროგრამა, უნდა მოხდეს ყველაფრის გაანგარიშება.

პროფ. ლალი ღოღელიანი – ჩვენს ცენტრს შემოაქვს ძალიან დიდი შემოსავალი. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შექმნა 12 პროფესიული ცენტრი, მაგრამ არც ერთ ცენტრს არ აქვს სპეციალური ხელშეკრულებები და პროგრამები. გვაქვს სახელმძღვანელოები სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის. შეგვიძლია მივიღოთ 500 სტუდენტი. სწავლების პერიოდი დამოუკიდებელ პროგრამაზე სხვადასხვა იქნება.

პროფ. მარინა ქურდაძე – ცენტრში გავიარეთ სტაჟირება და თუ არის ეს შეთანხმებული ადმინისტრაციასთან? უფროსი სპეციალისტი ხელფასს მიიღებს სტუ-ის ბიუჯეტიდან? თუ არ მოხდა ყველაფერი ისე, როგორც თქვენ გინდათ, მაშინ როგორ გადაუხდით მასწავლებლებს ფულს?

პროფ. ლალი ღოღელიანი – ეს არის ცენტრის საშტატო ერთეული და ხელფასს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი გადაუხდის.

პროფ. ჯემალ ბერიძე – ხომ არ წაართმევთ კონტინგენტს უმაღლეს პროფესიულ განათლებას?

პროფ. ლალი ღოღელიანი – აქ სერტიფიკატი გაიცემა, იქ დიპლომი.

პროფ. ნიდარ ქაჯაია – კომუნალურ და ფართობის გადასახადს ვინ იხდის? თქვენი შემოსავალი სად შემოდის?

პროფ. ლალი ღოღელიანი – სახელობო სპეციალობის გადასახადს სტუდენტები სტუ-ში შეიტანენ. უნივერსიტეტიდან არაფერს ვიღებთ, გარდა ხელფასისა.

პროფ. მარინა ქურდაძე – რამდენი მიდის და რამდენი რჩება უნივერსიტეტში? იქნებ წარმომადგენლობითი საბჭოს საფინანსო და ეკონომიკური საკითხების მუდმივმოქმედ კომისიაზე გამოსულიყავით?

პროფ. ლალი ღოღელიანი – ფინანსების ბალანსის წამოყენება არ არის ჩემი პრეროგატივა.

პროფ. დავით ჯაფარიძე – ცენტრი კარგია, მაგრამ კარგი იქნება თუ ბიზნეს-გეგმებს წარმოგვიდგენენ.

პროფ. ლალი ღოღელიანი – შემიძლია უბრალო მაგალითი მოგიყვანოთ, ჩვენმა ცენტრმა სტუ-ს 146 ათასი ევროს ტექნიკა შესძინა.

პროფ. ნიდარ ქაჯაია – იქნებ ყველა ცენტრმა ჩაწეროს დებულებაში, რომ ის ანგარიშვალდებულია როგორც აკადემიური, ისე წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე.

პროფ. ლალი ღოღელიანი – თანახმა ვარ, მაგრამ მაინც უნდა შევეკითხო იურისტებს.

პროფ. ნოდარ კოდუა – რა კაპიკებზეა ლაპარაკი, როცა ამხელა საქმე კეთდება?

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა “სტუ-ის პროფესიული განვითარების, მეცნიერების, განათლებისა და კულტურის ცენტრის” დებულების დამტკიცების საკითხი. წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2010 წლის 17 მარტის №45 სხდომის

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 17 მარტის №45 სხდომაზე, აკადემიური საბჭოს წევრმა, პროფ. ლალი ღოღელიანი წარმოადგინა “სტუ-ის პროფესიული განვითარების, მეცნიერების, განათლებისა და კულტურის ცენტრის” დებულება.

საბჭომ განიხილა წარმოდგენილი დებულება და გადაწყვიტა:

– დამტკიცდეს “სტუ-ის პროფესიული განვითარების, მეცნიერების, განათლებისა და კულტურის ცენტრის” დებულება (იხ. დანართი 13).

სპიკერი – განვიხილოთ დღის წესრიგის მერვე საკითხი – სტუ-ის აკადემიური საბჭოს №207 დადგენილების დამტკიცება – კერძოდ, სტუ-ის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის №43 მიმართულების ხელმძღვანელის, პროფ. თამაზ მჭედლიშვილის სტუ-ის საპატიო დიპლომით დაჯილდოების შესახებ – მომხსენებელი, პროფ. ოთარ გელაშვილი.

პროფ. ოთარ გელაშვილი – გთხოვთ, დავამტკიცოთ აკადემიური საბჭოს დადგენილება, სტუ-ის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის №43 მიმართულების ხელმძღვანელის, პროფ. თამაზ მჭედლიშვილი საპატიო დიპლომით და ერთი თვის ხელფასით დაჯილდოების შესახებ. პროფ. თამაზ მჭედლიშვილი ხანგრძლივ და ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ეწევა სატრანსპორტო ფაკულტეტზე და ამდენად იგი ამ ჯილდოს ღირსეული კანდიდატია. გთხოვთ დაამტკიცოთ აკადემიური საბჭოს აღნიშნული დადგენილება.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა სტუ-ის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის №43 მიმართულების ხელმძღვანელის, პროფ. თამაზ მჭედლიშვილის სტუ-ის საპატიო დიპლომით დაჯილდოების საკითხი. წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2010 წლის 17 მარტის №45 სხდომის

ბ ა ლ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №8

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 17 მარტის №45 სხდომაზე, სტუ-ის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ოთარ გელაშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი ამავე ფაკულტეტის, №43 მიმართულების ხელმძღვანელის, პროფ. თამაზ მჭედლიშვილის სტუ-ის საპატიო დიპლომით დაჯილდოების შესახებ.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, დამტკიცდა – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხანგრძლივი ნაყოფიერი პედაგოგიური მუშაობისათვის, პროფ. თამაზ მჭედლიშვილი დაჯილდოვდეს საპატიო დიპლომით და ერთი თვის ხელფასით.

სპიკერმა, პროფ. ეკატერინე თევზაძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი, სრული პროფესორი

/ეკატერინე თევზაძე/

სხდომის მდივანი,
ასოცირებული პროფესორი

/გინა გურეშიძე/